2
1931

W 1-2, 4-5,
7-24

1-2, 4-5, 7-24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეფექტის სახე	დაზიანებული გვერდები	თარიღი	დაზიანებული გვერდები	თარიღი
1	2	3	2	3
1. ამოხეულია ფურცლები . . .				
2. „ ილუსტრაციები				
3. ამოვარდნილია ფურცლები				
4. დახაზულია				
5. დასერილია			1	
6. ყდის დეფექტი				
7. დაზიანებულია მწერებისაგან				
8. „ ობისაგან . .				
9.				
10.				26/I-40
11. [illegible]	3,6,			26.

„ტიპ. და შრ." 2011

დეფექტის ფურცელი

34(05)
ს-24

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიტული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის იანვრის 1.	№ 1 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 1. „ სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური ხღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 2. პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 3. ყოფილი წითელგვარდიელებისა, ციოფელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების გაცემისა და წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის წესების დამტკიცების შესახებ.

„ 4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-კონომიური ნაწილის სტატისტიკოსების ჯამაგრის განაკვეთების შესახებ.

„ 5. სომხეთის სსრ-კის დუზკენდის რაიონის აღდგენის შესახებ.

„ 6. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სარკინისგზო სახაზო სასამართლოების მოწყობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 7. 1930/31 წლისთვის ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის განზორციელების ღონისძიებათა შესახებ.

„ 8. „ა/კსფსრ მეგობრობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

„ 9. „შრომითის საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების“ შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 10. სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების მიერ მშენებლობის აღნუსხვის შესახებ.

„ 11. დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. „სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების მე-12 მუხლის შეცვლისათვის.

„სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების მე-12 მუხლის შეცვლისათვის“ იმავე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. ნოემბრის 13-ის თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-11 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილებისა „სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 116) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. სამრეწველო საწარმოთა სახლებში, სადაც საცხოვრებელი სადგომის ქირა დაწესებულია თვითღირებულობის (საწარმოსათვის) მიხედვით (1 და 2 მუხ.), საწარმოსათვის უცხო დამქირავებელმა დაქირავებული საცხოვრებელი სადგომის ქირა და აგრეთვე მისთვის გაწეული კომუნალური მომსახურეობის სასყიდელი უნდა გადაიხადოს:

ა) სოციალურ-კულტურულ დარგში მომუშავემ (სამედიცინო, სასკოლო, შრომის ინსპექტორმა და სხვ.)—ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაკვეთის მიხედვით;

ბ) სხვა დამქირავებელმა—ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაკვეთის მიხედვით, უკეთუ ეს კანაკვეთი თვითღირებულობაზე (საწარმოსათვის) ნაკლები არ არის, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში—ამ საწარმოს მომუშავეთათვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამაერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1-ლ №-ში 1931 წ. იანვრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

2. პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და 1931 წ. იანვრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილება „პერსონალური პენსიების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-ი, მუხ. 203 და 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 233);

ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 21-ის დადგენილება „პერსონალური პენსიების თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილების მე-3 და 9 მუხლების შეცვლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 203).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

4. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს აძლიოს ყველას, ვინც-კი პენსიას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისამებრ იღებს, სათანადო მოწმობა (წიგნაკი).

დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

კარი I.

იმ პირთა წრე, რომელნიც უზრუნველყოფილ უნდა იქნენ პერსონალური პენსიით.

1. პერსონალური პენსიის მიღების უფლება, ამა დებულების წესისამებრ, დადგენილია განსაკუთრებული დამსახურებისათვის რესპუბლიკის წინაშე რევოლიუციონური, სამხედრო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, საბჭოთა მშენებლობაში და აგრეთვე მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტეხნიკის სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უცილობელი უფლება პერსონალური პენსიის მიღებისა აქვთ:

ა) იმ რევოლიუციონური პარტიების წევრთ, რომლებიც აქტიურად იბრძოდენ პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის;

ბ) იმ პირთ, რომელნიც თავიანთი გმირული ღვაწლისთვის ან განსაკუთრებული შრომისთვის დაჯილდოებულ არიან ერთი ამ რამდენიმე ორდენით, რაც დაწესებულია სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის მიერ;

გ) იმ პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება ან მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ტეხნიკაში დამსახურებული მოღვაწის წოდება.

3. ამის გარდა პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოთ:

ა) იმ პირთ, რომელთაც განიცადეს მეფის ან კაპიტალისტური მთავრობის რეპრესიები აქტიური ფარული რევოლიუციონური მუშაობისათვის, ხოლო იმ პირობით, თუ ეს პირნი არ გამოსულან პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ;

ბ) განსაკუთრებით გამოჩენილ მოღვაწეთ სამხედრო, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სატეხნიკო და საგამომგონებლო სფეროში, რომელთაც თავიანთი მუშაობით, ნაწარმოებით და გამოგონებით შეიტანეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კულტურაში, მეცნიერებაში და ტეხნიკაში და ხელი შეუწყეს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას;

გ) იმათ, ვინც გამოიჩინა განსაკუთრებული აქტიობა კულაკობასთან ბძოლაში და ამ ბრძოლის ნიადაგზე დაშავდა;

დ) შრომის გმირთ, რომელთაც ეს წოდება მინიჭებული აქვთ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების დადგენილებით.

4. პერსონალური პენსიები, საერთო წესისამებრ, დანიშნულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორგანოების მიერ იმ პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელნიც უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ამ პენსიებით, აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა და წესის თანახმად.

შენიშვნა. პერსონალური პენსიები იმ პირთ, რომლებზედაც ვრცელდება 1928 წ. მარტის 19-ის დებულება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო თავმდგომთა შედგენილობის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ, დაენიშნებათ ამ დებულების მე-8 მუხლი გათვალისწინებული წესით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-20 №-ი, მუხ. 131 და მე-15 №-ი, მუხ. 124).

5. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეხედულებისამებრ, როგორც გამონაკლისი, პერსონალური პენსია შეიძლება დანიშნულ იქნეს მისი დადგენილებით.

6. პერსონალური პენსია მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში და მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ პირთ დაენიშნებათ, უკეთუ

ცნობილ იქნა მათი შრომისუუნარობა (ე. ი. უკეთუ ისინი მიკუთვნებულ იქნენ ინვალიდობის ერთ-ერთ სამს ჯგუფთაგანს), ან უკეთუ მათ მიაღწიეს: მამაკაცებმა—55 წლის ასაკს და დედაკაცებმა—50 წლის ასაკს.

7. უკეთუ ის პირი, ვინც იღებდა პერსონალურ პენსიას ან ვისაც უფლება ჰქონდა ამ პენსიის მიღებისა (2 და 3 მუხ.), გარდაიცვალა ან უგზო-უკელოდ დაიკარგა და ეს უკანასკნელი გარემოება სათანადოდ არის დამტკიცებული, პენსიის მიღების უფლება გადადის გარდაცვალებულის ოჯახის შემდეგ არასრულწლოვან ან შრომისუუნარო წევრებზე, რომელნიც სიკვდილის წამს მის რჩენაზე იყვნენ:

ა) 18-წლის ასაკს მიუღწეველ შვილზე, ძმაზე, დაზე, აგრეთვე ამავე პირებზე, ასაკის მიუხედავად, უკეთუ ისინი შრომის უუნარონი გახდნენ 18 წლამდე;

ბ) მშობლებზე და მეუღლეზე, რომელთაც მიაღწიეს: მამაკაცებმა—60 წლის ასაკს და დედაკაცებმა—55 წლის ასაკს, ან უკეთუ ისინი სათანადო წესით ცნობილ არიან შრომისუუნარო პირებად;

გ) შრომისუნარიან მშობლებზე ან მეუღლეზე, რომელნიც უვლიან გარდაცვალებულის ან უგზო-უკელოდ დაკარგულის რჩენაზე ყოფილ 8-წლის ასაკს მიუღწეველ შვილებს, ძმებს და დებს.

8. პერსონალური პენსია შვილებს, ძმებს და დებს დაენიშნებათ 18 წლამდე, ხოლო მათ შორის სასწავლებლებში მოსწავლეთ პენსია ეძლევათ ტეხნიკუმში და უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებამდე, მაგრამ არა უხანგრძლივეს 25-წლის ასაკის მიღწევისა; იმ პირთ-კი, ვინც ცნობილია შრომის უნარმოკლებულად (მე-7 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნ.) და ეს შრომის უნარდაკარგულობა მყარი ხასიათისაა, პენსია ეძლეეთ საკვდილამდე.

საჭირო შემთხვევაში პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოთ გარდაცვალებული პენსიონერის ინვალიდ შვილებს, ძმებს და დებს, თუნდაც ისინი ინვალიდებად 18 ან 25-წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გამხდარიყვნენ, და აგრეთვე თუნდაც ისინი არ ყოფილიყვნენ იმ პირის რჩენაზე, ვისაც პერსონალური პენსიის მიღების უფლება ჰქონდა.

ᲙᲐᲠᲘ II.

პერსონალური პენსიის დანიშვნის წესი.

9. შუამდგომლობა პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ აღიძვრის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო ორგანოების წინაშე:

ა) ამა დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ პირთა თაობაზე—როგორც თვით ამ პირებისა, ისე სხვა პირებისა და ორგანიზაციების მიერ;

ბ) ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ პირთა თაობაზე—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა, ნაციონალური პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა, სახალხო კომისარიატებისა, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებისა, პოლიტკატორღელთა და გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებულთა საზოგადოებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მთავრობების მიერ.

10. მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობაში აღნიშნულ და დოკუმენტებით დამტკიცებულ უნდა იქნეს: იმ პირის დამსახურება საპჭოთა რესპუბლიკის წინაშე, რომლის თაობაზედაც აღიძვრის შუამდგომლობა, ან მისი რევოლიუციონური სტაჟი და მოკლე ბიოგრაფია, აგრეთვე ოჯახის შედგენილობა და ამ ოჯახის წევრთა ასაკი.

11. პერსონალური პენსია ამა დებულების წესისამებრ დაინიშნება იმისდამიუხედავად, თუ სად მიმდინარეობდა განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის მოღვაწეობა, უკეთუ ეს პირი ახლა იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს, რომლის ორგანოების წინაშეც აღიძვრის შუამდგომლობა პენსიის დანიშვნის შესახებ.

12. პერსონალური პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც ეს პენსია დანიშნა, და მარტოოდენ შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ იმ პირს, რომელიც პერსონალურ პენსიას იღებს, ჩამოერთვა არსებული წესისამებრ საბჭოთა საარჩევნო უფლება, უკანასკნელი ინსტანციის მიერ ამის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;

ბ) უკეთუ გამოტანილ იქნა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებულია პენსიის უფლების ჩამორთმევა.

შენიშვნა. უკეთუ იმ პირმა, რომელსაც სასამართლო წესით პენსიის უფლება ჩამოერთვა, განასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება, საკითხს პერსონალური პენსიის უფლების შესახებ განიხილავს ის ორგანო, რომელმაც პენსია დანიშნა, მხოლოდ უკანასკნელი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; ამ უკანასკნელი ინსტანციის გადაწყვეტილებამდე პენსია გაიცემა საერთო საფუძვლების მიხედვით.

13. დადგენილებაში პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს, რა დროიდან და რა რაოდენობით არის პენსია დანიშნული, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პენსია დაენიშნება განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის ოჯახს, აღნიშნული უნდა იქნეს, რა ნაწილი ამ პენსიისა ვრცელდება ოჯახის თვითეულ წევრზე, უკეთუ ოჯახის წევრნი ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

14. უკეთუ პერსონალურ პენსიონერს აქვს სამუშაო საშოვარი, რაც, მისთვის დანიშნული პერსონალური პენსიის თანხასთან ერთად, აღემატება პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთა პირველი სატარიფო ზოლის ტარიფის უმაღლესი განაკვეთის ერთდანაკვეარ რაოდენობას (ამ განაკვეთისა და დატკირთვის სასყიდლის ერთად ჩათვლით), პერსონალური პენსიის რაოდენობა სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს. საშოვარის დაკარგვის ან შემცირების გამო პენსია ავტომატურად ან აღდგენილ იქნება მთლად ან სათანადოდ გადიდებული, ხოლო ამ პირობით, რომ საშოვარისა და პენსიის საერთო თანხა არ აღემატებოდეს ამა მუხლით დადგენილ მაქსიმუმს. პენსიის მიცემის შეჩერება არ უსპობს პენსიონერს ყველა სხვა უფლებას და უპირატესობას, რაც მას მინიჭებული აქვს ამა დებულებით.

15. პერსონალური პენსიონერის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს მისთვის პენსიის მოსპობას ან დანიშნული პენსიის რაოდენობის შემცირებას.

კ ა რ ი III.

სახსარი პერსონალური პენსიებისათვის და ამ პენსიების რაოდენობა.

16. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული პერსონალური პენსიების გაცემისათვის საჭირო ხარჯი მიეკუთვნება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვას.

17. პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რა თვისებისა და ხასიათისაა ამა თუ იმ პირის განსაკუთრებული დასსახურება, რამდენად აქვს მას დაკარგული შრომის უნარი, რა ასაკისაა, რამდენი პირი იმყოფება მის რჩენაზე და აგრთვე რა ჩვეულებრივი სამუშაო საშოვარი აქვს მას. ამასთანავე, პერსონალური პენსია, როგორც საერთო წესი, არ უნდა აღემატებოდეს პასუხისმგებელი პოლიტიკური მოშუშვის ტარიფის თვენახევრის ძირითად უმაღლეს განაკვეთს, რაც იმ ადგილას არსებობს, სადაც ესა თუ ის პირი ცხოვრობს პენსიის დანიშვნის მომენტში.

18. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, მე-7 და 8 მუხლების თანახმად, განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის ოჯახის წევრებისათვის დანიშნული პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ შემთხვევაში უზრუნველსაყოფ პირთა რიცხვისა და ოჯახის ჩვეულებრივი მიუჯდომლობის მიხედვით; ამასთანავე, როგორც საერთო წესი, პერსონალური პენსია ოჯახის ყველა უზრუნველსაყოფ წევრთათვის ერთობილად არ უნდა აღემატებოდეს მე-17 მუხლში აღნიშნულ რაოდენობას.

კ ა რ ი IV.

იმ პირთა შრომითი მოწყობა, ვინც პერსონალურ პენსიას იღებს.

19. იმ პირთ, ვინც ამა დებულების თანახმად პერსონალურ პენსიას იღებს, შეუძლიანთ წევრად შევიდნენ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებში (არტელებში); ამასთანავე, ისინი არა ჰკარგავენ პენსიის უფლებას და აგრეთვე იმ შეღავათებისა და უპირატესობის უფლებას, რაც ჩამოთვლილია მე-V კარში, იმისდამიუხედავად, თუ რამდენ ხანს დაპყოფენ ამ შენაერთებში. ინვალიდთა არტელში მყოფი პენსიონერისათვის პერსონალური პენსიის მიცემის დროს ანგარიშში მიიღება მისი საშოვარი არტელში ამა დებულების 22 მუხ. თანახმად.

20. პერსონალური პენსიონერის ინვალიდთა არტელში შესვლისას იგი იხდის თავის ხვედრ საპაონ შესატანს არტელის წესდების საერთო საფუძვლებზე და მომქმედი წესების მიხედვით.

21. ის პირნი, რომელნიც პერსონალურ პენსიას იღებენ, დარეგისტრდებიან შრომის ბირჟაზე და სამუშაოზე გაიგზავნებიან რიგს გარეშე, ხოლო მათი ოჯახების წევრები—პროფესიონალურ კავშირთა წევრ-მუშების თანაბრად.

კ ა რ ი V.

იმ პირთა სპეციალური შეღავათები და უპირატესობა, ვინც პერსონალურ პენსიას იღებს.

22. პერსონალური პენსიონერები საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებული ბინის ქირის განაკვეთების მიხედვით 10%-დან 50%-დე დაკლებით.

მონაკლების რაოდენობას, პენსიონერთა შემოსავლის მიხედვით, განსაზღვრავენ ადგილობრივი საბჭოები. ჩიდმეტი საცხოვრებელი ფართობისა და დამატებითი ფართობისათვის ქირას ისინი ერთმაგი რაოდენობით იხდიან.

23. პერსონალური პენსიონერის გამოსახლება (ან გადასახლება) მის მიერ დაშერილი სადგომიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით და იმ პირობით, რომ მს მიეცეს საცხოვრებლად ვარგისი თავისუფალი ფართობი, სივრცით არა ნაკლები იმ ფართობისა, რაც მას ეჭირა; აგრეთვე მას უნდა მიეცეს სატრანსპორტო საშუალებანი გადასვლისათვის.

24. პერსონალური პენსია თავისუფალია ყველა გადასახადისა და გამოსაღებისაგან. უკეთუ პერსონალურ პენსიონერს, პენსიის გარდა, აქვს აგრეთვე სხვა შემოსავალი და სამუშაო საშოვარი, დაიბეგრება მხოლოდ ეს შემოსავალი და საშოვარი, თუ იგი აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს; პერსონალური პენსია კი დასაბეგრავ შემოსავალში არ ჩაირიცხება.

25. ამის გარდა, პერსონალურ პენსიონერებს აქვთ შემდეგი შეღავათები ადგილობრივი გადასახადების სფეროში:

ა) შენობის გადასახადისაგან განთავისუფლდება ის შენობა, რაც პერსონალურ პენსიონერს ეკუთვნის, უკეთუ შენობა უშუალოდ თვით პერსონალურ პენსიონერს და მის ოჯახს უჭირავს და არ ქირავდება ექსპლოატაციის მიზნით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება პერსონალური პენსიონერის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებანი (ცხენი, ველოსიპედი და სხვ.), რაც მომსახურეობას უწევს თვით პენსიონერსა და მის ოჯახს.

პერსონალურ პენსიონერებს აქვთ ყოველგვარი სამედიცინო, საწამლეულო და სპორტეზო დახმარების უფლება უფასოდ და რიგს გარეშე, ხოლო მათი ოჯახის წევრებს—დაზღვეული მუშების თანაბრად.

საკურორტო-სასანატორო დახმარების სფეროში პერსონალური პენსიონერები გათანასწორებულ არიან მუშებთან. ამის გარდა, კომისიას შეუძლიან გაგზავნოს ისინი სანატორიუმებში სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ან სახსარის ხარჯით, რაც ეძლევა მას პერსონალური პენსიებისა და დახმარების გასაცემად.

26. პერსონალურ პენსიონერებს უფლება აქვთ, რათა ისინი რიგს გარეშე მიღებულ იქნენ სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებში და სხვ.) და სახალხო ჯანმრთელობის დაწესებულებებში (ქრონიკების და ტრავმატიკების სახლებში, ნერვებითა და სულით ავადმყოფების სპეციალურ დაწესებულებებში და სხვ.), ხოლო მათი ოჯახის წევრები იმავე დაწესებულებებში მიიღებიან დაზღვეული მუშების თანაბრად.

27. პერსონალური პენსიონერების შვილები და მათ რჩენაზე მყოფი პირები ყველა სასწავლებელში (დაბალ, საშუალო და უმაღლეს) და საყმაწვილო დაწესებულებაში მიიღებიან რიგს გარეშე და უპირატესად, სხვა კანდიდატებთან შედარებით, ქონებულ ადგილებზე და სტიპენდიებზე და განთავისუფლდებიან სწავლისა და აღზრდის ფულისაგან. ასეთივე შეღავათები ეძლევათ თვით პერსონალურ პენსიონერებს ყოველგვარ მოკლეგვადიან კურსებზე, მუშათა ფაკულტეტებზე, ტეხნიკუმებში, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის დროს.

28. პერსონალურ პენსიონერებს უფლება აქვთ წევრად შევიდნენ ყველა—გამოუკლებლად—კოოპერატიულ ორგანიზაციაში ა/კსფსრ ტერიტორიაზე. კოოპერატიული ორგანიზაციის წევრად შესვლისას ისინი საპაიო და საწევრო შენატანს იხდიან იმ უმცირესი რაოდენობით, რაც დაწესებულია ამა თუ იმ კოოპერატივზე; თანაც უფლება აქვთ, რათა მათ საჭიმბმბარაბლო და სამეურნეო საპოოებთან მოსასხურეობა გაეწიოს მთელი კოოპერატიული ქსელის მიერ კოოპერატივის წევრ-მუშების თანაბრად. კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისთვის პერსონალურ პენსიონერებს აქვთ ყველა ის შეღავათი, რაც დაწესებულია ღარიბ მეურნეობათათვის.

29. უკეთუ პერსონალური პენსია მიეცემა ისეთ პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს პენსია სოციალური დაზღვევის წესით, სოციალური დაზღვევის ორგანოები შეიტანენ ხაზინის შემოსავალში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვით—კუთვნილებისამებრ—აღნიშნული პირისათვის დანიშნული პენსიის 50 პროცენტს.

30. ყველა ის შეღავათი, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით მიენიჭებათ იმ პირთ, ვინც ჰერსონალურ პენსიას იღებს სათანადო რესპუბლიკების ორგანოს დადგენილების თანახმად, გავრცელდება ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ პირებზე, რომელნიც პერსონალურ პენსიას იღებენ სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილების თანახმად.

31. საკითხი ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების შესახებ მოწესრიგდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1-ლ №-ში 1931 წ. იანვრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

3. ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების გაცემისა და წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის წესების დამტკიცების შესახებ.

„ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად და ა/კსფსრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-16 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს „წესები ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების გაცემისა და წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის შესახებ“.

2. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1928 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილება „წითელპარტიზანებისა და წითელგვარდიელების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის წესის შესახებ“ (ოქმი № 13, პუნ. 3).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 16.
ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1-ლ №-ში 1931 წ. იანვრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით დაწესებული შეღავათების თაობაზე მოწმობების გაცემისა და წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების შედგენილობაში ამა თუ იმ პირის ნამდვილად ყოფნის გამორკვევის შესახებ.

1. წითელგვარდიელების კატეგორიას ეკუთვნის ის მოქალაქე, ვინც იმყოფებოდა წითელ გვარდიის რაზმებში და დრუჟინებში, რომელნიც იბრძოდნენ ოქტომბრის რევოლიუციის პერიოდში,—ხოლო მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შექმნამდე,—პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მტრების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

შენიშვნა. ა/კასფსრ ტერიტორიაზე წითელ გვარდიის რაზმებისა და დრუჟინების მოქმედების მოსპობის დროდ ჩაითვალოს ის დრო, როდესაც ა/კასფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებმა გამოსცეს დადგენილებანი მათ ტერიტორიებზე წითელ არმიის ნაციონალური ნაწილების მოწყობის შესახებ.

2. წითელპარტიზანების კატეგორიას ეკუთვნის ის მოქალაქე, ვინც იმყოფებოდა პარტიზანულ რაზმებში, რომელნიც მოქმედობდნენ როგორც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, ისე დამოუკიდებლად, მოწინააღმდეგის ზურგში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების მტრების წინააღმდეგ.

3. ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელპარტიზანებს და მათ ოჯახებს მოწმობებს იმ შეღავათების უფლების თაობაზე, რაც „გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებაში „ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 64), მისცემენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები შემდეგი წესის დაცვით:

ა) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან მოეწყობა კომისიები ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების მიერ აღნიშნული მოწმობების მიცემის თაობაზე შეტანილი განცხადებების განსახილველად, ამ განცხადებებში დასახელებული ცნობების შემოწმებით; ეს კომისიები მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: 1) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი (კომისიის თავმჯდომარე), 2) სამხედრო უწყების წარმომადგენელი, 3) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელი, 4) სრულიად საკავშირო კომუნისტური პორტიის (ბ) ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, 5) ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი და 6) კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ეროვნული
ბიბლიოთ

შენიშვნა. კომისიის წევრები გამოყოფილ უნდა იქნენ, შეძლებისდაგვარად, ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების რიცხვიდან;

ბ) სოფლად მცხოვრები ყოფილი წითელგვარდიელები და წითელპარტიზანები და მათი ოჯახის წევრები აღნიშნული მოწმობების მისაღებად განცხადებას შეიტანენ სასოფლო საბჭოში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ამ განცხადებებს სასოფლო საბჭო გამოჰკიდებს სასოფლო საბჭოს სადგომში და ისეთ ადგილას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა უფრო დაიარება;

ამ განცხადებებს სასოფლო საბჭო თავისი დასკვნითურთ უგზავნის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ათი დღის ვადაზე;

უკეთუ ესა თუ ის მოქალაქე ან ორგანიზაცია შეიტანს დასაბუთებულ განცხადებას თხოვნის შემტან პირთათვის შეღავათების მინიჭების წინააღმდეგ, ამ საწინააღმდეგო განცხადებას სასოფლო საბჭო გაუგზავნის საოაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

გ) ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების და მათი ოჯახების მიერ საქალაქო საბჭოში შეტანილ განცხადებებს ეს საბჭო გაუგზავნის პროფესიონალურ კავშირს, განცხადებელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დასკვნის მისაცემად ათი დღის ვადაზე;

დ) დაინტერესებული პირების მიერ ზემოაღნიშნული მოწმობების მიცემის თაობაზე შეტანილ განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი; 2) საცხოვრებელი ადგილი; 3) სოციალური მდგომარეობა; 4) ჩამორთმეული ხომ არა აქვს საბჭოთა საარჩევნო უფლება; 5) აღკვეთილი ხომ არა აქვს თავისუფლება, აყრილი ხომ არა აქვს პოლიტიკური უფლებები, განდევნილი ან გადასახლებული ხომ არ არის სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით; 6) სად, როდის და წითელი გვარდიის რომელ რაზმსა და დრუჟინაში ან წითელპარტიზანების რომელ რაზმში იმყოფებოდა და რა მოვალეობას ასრულებდა; 7) რა დოკუმენტები აქვს, რაც ამტკიცებდეს, რომ იგი ეკუთვნოდა წითელგვარდიელების თუ წითელპარტიზანების შედგენილობას;

ე) იმ განცხადებაში, რასაც შეიტანს გარდაცვალებული წითელგვარდიელისა თუ წითელპარტიზანის ოჯახის წევრი, გარდა წინა მუხლში გათვალისწინებული ცნობებისა გარდაცვალებულის შესახებ, აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი; 2) საცხოვრებელი ადგილი; 3) ურთიერთობა გარდაცვალებული წითელგვარდიელისადმი ან წითელპარტიზანისადმი; 4) სოციალური მდგომარეობა; 5) ჩამორთმეული ხომ არა აქვს საბჭოთა საარჩევნო უფლება; 6) აღკვეთილი ხომ არა აქვს თავისუფლება, აყრილი ხომ არა აქვს პოლიტიკური უფლებები, განდევნილი ან გადასახლებული ხომ არ არის სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით;

ვ) წითელგვარდიელთა შედგენილობაში ყოფნა დადასტურდება ან ნამსახურობის ნუსხით, ან წითელგვარდიის რაზმისა თუ დრუჟინის მოწმობით ან და იმ ორგანიზაციის მოწმობით, რომელიც აწყობდა წითელი გვარდიის რაზმებსა და დრუჟინებს;

ზ) წითელპარტიზანთა შედგენილობაში ყოფნა დადასტურდება ან ნამსახურობის ნუსხით, ან პარტიზანული რაზმის მოწმობით, ან იმ პირთა მოწმობით, რომელთაც ამ რაზმებში საკომანდო თანამდებობა ეჭირათ, ან იმ პირთა მოწმობით, რომელთაც ხელმძღვანელობის კავშირი ჰქონდათ პარტიზანულ რაზმთან, ან და ორი ისეთი მოწმის ჩვენებით, რომელნიც წითელ პარტიზანთა შედგენილობაში იყვნენ;

შენიშვნა. ამ ჩვენებაში აღნიშნული უნდა იყოს პარტიზანულ რაზმში სამსახურის გაელის დრო, რაზმის მოქმედების რაიონი და რაზმის უფროსი;

თ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან არსებული ზემოაღნიშნული კომისიები განიხილავენ და შეამოწმებენ განცხადებებსა და წარდგენილ დამამტკიცებელ საბუთებს და, არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან დაინტერესებული პირების მიერ განცხადების შეტანისა, გამოიტანენ დადგენილებებს დაწესებულ შეღავათებზე განმცხადებელთა ყოფლების აღიარების საკითხის შესახებ;

ი) წინა პუნქტში აღნიშნული დადგენილებანი წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს, კუთვნილებისამებრ, რომელთა დადგენილებაც საბოლოოა;

კ) თავიანთი დადგენილებების ასლებს აღნიშნული კომისიები,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებისათვის ამ დადგენილებების დასამტკიცებლად წარდგენასთან ერთად,—მისცემენ განმცხადებელთ და აგრეთვე გადასცემენ საინანადო სასოფლო საბჭოებს და პროფესიონალურ კავშირებს (ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები);

ლ) განმცხადებლებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიანთ წარადგინონ თავიანთი პასუხი კომისიების დადგენილებებზე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებში ათი დღის განმავლობაში კომისიების დადგენილებების მიღების დღიდან;

მ) დაწესებულ შეღავათებზე ყოფილი წითილგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახების უფლების აღიარების მოწმობებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები მისცემენ დაინტერესებულ პირთ არა უგვიანეს ხუთმეტი დღისა სათანადო კომისიების დადგენილებების მიღების დღიდან.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები კვარტალობით წარუდგენენ ხოლმე სათანადო სარაიონო სამხედრო კომისიებს ცნობებს დარეგისტრირებულ ყოფილ წითელგვარდიელებისა, წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახების რიცხვის შესახებ.

5. ყველა ის მოწმობა, რაც ა/კესფარ ფარგლებში მიეცათ წითელგვარდიელებსა, წითელპარტიზანებსა და მათ ოჯახებს ამა წესების სამოქმედოდ შემოღებამდე, ძალაში რჩება შეღავათების მისაღებად 1931 წლის მარტის 1-დე. ამ ვადის შემდეგ შეღავათების მისაღებად ყველა წინად გაცემული მოწმობა განახლებულ უნდა იქნეს ამა წესების მიხედვით.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსების ჯამაგირის განაკვეთების შესახებ.

„/ასფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების მე-12 მუხლის შესაცვლელად (ა/ასფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 178) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაწესებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-ეკონომიური ნაწილის სტატისტიკოსებისთვის ჯამაგირის შემდეგი განაკვეთები:

1-ლი კატეგორიის	რაიონებში	75	მან.
მე-II	„	85	„
მე-III	„	100	„

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1- №-ში 1931 წ. იანვრის 1-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

5. სომხეთის სსრ-ში დუზკენდის რაიონის აღდგენის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სომხეთის სსრ-ში ლენინაკანის საქალაქო საბჭოსთან შეერთებული დუზკენდის რაიონი აღდგენილ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი რაიონი, წინანდელ საზღვრებში.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 22-ის დადგენილება „სომხეთის სსრ-ში დუზკენდის რაიონის გაუქმების შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1-ლ №-ში 1931 წ. იანვრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

6. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სარკინისგზო სახაზო სასამართლოების მოწყობის შესახებ.

„სარკინისგზო სახაზო სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 27 დადგენილების თანახმად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ის იზვესტია“-ს 328 №-ი 1930 წ. ნოემბრის 29-სა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მოაწყონ ამ რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებთან სარკინისგზო სახაზო სასამართლოები ისეთი შედგენილობით და იმ საფუძვლებზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილებით „სარკინისგზო სახაზო სასამართლოების შესახებ“, და გადასცენ ამ სპეციალურ სასამართლოებს განსახილველად სისხლის სამართლის შემდეგი საქმეები:

ა) ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ შრომის დისციპლინის სიბოროტით დარღვევის შესახებ;

ბ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია მოძრაკი შედგენილობისა, გზისა და საგზაო ნაგებობათა დაზიანება ან განადგურება და ადამიანთა უბედურება;

გ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რაც, თუნდაც არ გამოიწვიოს „ბ“ პუნქტში აღნიშნული შედეგი, მაინც საფრთხეში აგდებს მოძრაობის წესიერებას და უშიშროებას;

დ) ისეთ დანაშაულთა შესახებ, რამაც გამოიწვია გადმოტვირთვის ადგილას ცარიელი ვაგონების დაგროვება, აგრეთვე ვაგონების მოცდენა და პარკში ზედმეტი ვაგონების გაჩერება;

ე) ორთქლმავლებისა, ვაგონებისა, ცისტერნებისა და სხვა სატრანსპორტო გაწყობილობის უხეირო რემონტისა და უხეიროდ შეკეთებული ორთქლმავლებისა, ვაგონებისა, ცისტერნებისა და სატრანსპორტო გაწყობილობის საეკსპლოატაციოდ გამოშვების შესახებ;

ვ) ტრანსპორტზე ჩადენილ სხვა დანაშაულთა შესახებ, რაც ირღვევს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას;

ზ) ყველა ის საქმე კონტრრევოლუციონური დანაშაულის შესახებ, რაც დაკავშირებულია სარკინისგზო ტრანსპორტის მუშაობასთან.

შენიშვნა. სარკინისგზო სახაზო სასამართლო, ზემოაღნიშნული საქმეების განხილვის დროს, შეუფარდებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებს, რომლის ტერიტორიაზედაც ჩადენილია სასამართლოს მიერ განსახილველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

აგრეთვე რათა, ამა დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, შედგენილ და დამტკიცებულ იქნეს სახალხო მსაჯულთა სიები;

ბ) შეუთანხმონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. დეკემბრის 21.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 345 №-ში 1930 წ. დეკემბრის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

7. 1930/31 წლისთვის ოთხფეხი საქონლის დამზადების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზბრუნველჰყონ, რათა ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმა მიწვდენილ იქნეს სოფლამდე და კულაკურ შემლებულ კომლამდე არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-სა.

2. კულაკურ შემლებულ მეურნეობათა ზედა ფენების მიერ ოთხფეხი საქონლის ჩაბარების ვადა დაწესებულ იქნეს არა უხანგრძლივეს, ვიდრე ერთი თვე სასოფლო საბჭოს დადგენილების დღიდან და, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლის 1-სა.

3. ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის დამზადების განხორციელება დაეკისროს მარტოოდენ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემებს; წინადადება მიეცეს ხორცის მრეწველობის საერთო-საკავშირო შენაერთის („სოიუზმიასო") ამიერკავკასიის კონტორას დაამთავროს კოოპერაციისათვის სადამზადებლო ფუნქციების გადაცემა არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-სა,

4. დაეკალოს სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირის გამგეობებს გამოჰკონ ხორცის დამზადების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამგეობის სპეციალური წევრები როგოც ცენტრალურ აპარატში, ისე რესპუბლიკანურ და სარაიონო კავშირებში; გამოყოფილ ამხანა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გებს დააკისრონ პირადი პასუხისმგებლობა ოთხფეი საქონლის დამზადების გეგმების გარკვეულად და დაუცადებლად შესრულებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს--დაბრონირებულჰყოს და, დამზადებათა საკალენდრო გეგმის შესაბამისად, გამოჰყოს ხოლმე თვიურად ოთხფეი საქონლის დამზადებათა დასაპრემირებლად განსაზღვრული თანხის სამრეწველო საქონლის ფონდი მანუფაქტურისა, ტყავეული საქონლისა, საგლეხო ფეხსაცმლისა, იაფი მზა-ტანსაცმლისა, შაქრისა, ჩაისა და საპნისა.

6. ოთხუეი საქონლის დამზადებისა, მოვლისა და დაკვლის ტეხნიკაში მომუშავეთა მოსამზადებლად დაეკალოს ხორცის მრეწველობის საერთო-საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას—მოაწყოს, არა უგვიანეს ინვრის 15-სა, სამთვიანი კურსები, რომელიც შეავსოს ოთფეი საქონლის დამზადებელი ყველა ორგანიზაციის მომუშავეებით.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რისპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ ღონისძიება, რათა უეცლობლად თავიდან აცდენილ იქნეს მოხარდი და პროდუქტიული საქონლის დაუზოგველი დაკვლა, რისთვისაც სრული სისასტიკით განხორციელებულ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილება „ოთხფეი საქონლის დაუზოგველი დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“ („სსრკ ცენ. აღმ. კ-ის იზვესტია“-ს 319 №-ი 1930 წ. ნოემბრის 20-სა).

8. მიეკცეს ა/კსფსრ მომარაგების კომისარიატისა და ოთხფეი საქონლის დამმზადებელი ორგანიზაციების ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა ოთხფეი საქონლის დამზადების საქმის მოწყობისა და განხორციელებისათვის სავსებით გამოყენებულ იქნეს პური დამზადების მუშაობის მეთოდები ამ საქმის როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის სფეროში, ისე საორგანიზაციო ღონისძიებათა სფეროში.

კერძოდ, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა იმ ცალკეულ საშუალო მეურნეობათა მიმართ, რომელნიც სიბოროტით თავს არიდებენ სოფლობითი გეგმის შესრულებაში მონაწილეობას, შეფარდებულ იქნეს საზოგადოებრივი ზედმოქმედების ენერგიული ღონისძიებანი.

უფლება მიეცეს სასოფლო საბჭოებს—იმ კულაკურ შეძენებულ კომლთა პატრონებს, რომელთაც არ შეასრულეს საქონლის ჩაბარების დავალება, დაადვინ ადმინისტრატიული წესით ჯარიმა ჩასაბარებელი საქონლის ღირებულობის ათჯერადი რაოდენობით.

9. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—კერძო მოვაჭრეთა სპეკულაციის შეზღუდვისათვის და დეზორგანიზაციული მუშაობის აღკვეთისათვის—განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მტკიცედ განსაზღვრონ ოთხფეი საქონლის ვაჭრობის დასახლებული პუნქტები და ადგილები (ბაზარი, იარმუკა, ხორცის მოედნები) და აუკრძალონ კერძო დამმზადებელთ საქონლის შესყიდვა ამ ადგილების გარეშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს—აწარმოონ კერძო მოვაჭრეების მიერ ბაზრებზე და მოედნებზე ოთხფეხი საქონლის შესყიდვის რეგისტრაცია და აძლიონ მათ სარეგისტრაციო ცნობები;

გ) კერძო პირთა საქონლის დაკვლა სასაკლაოებში უნდა სწარმოებდეს მხოლოდ მის შემდეგ, უკეთუ ისინი წარმოადგენენ სარეგისტრაციო ცნობებს საქონლის ბაზარზე ან ხორცის მოედანზე ყიდვის შესახებ;

დ) საგრძნობლად იქნეს შეზღუდვილი თვითეული კერძო ცალობით მოვაჭრისათვის ხორცის მიცემა იმ ნორმების მიხედვით, რასაც, ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის ხორცით მომარაგებისათვის, განსაზღვრავენ ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ორგანოები;

ე) გაძლიერებულ უნდა იქნეს ბრძოლა ქალაქებში საქონლის ფარულად დაკვლისა და ხორცის ფარულად გაყიდვის წინააღმდეგ.

10. დაევალოს ხორცის მრეწველობის საერთო-საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას—იმ მიზნით, რათა გამოაშკარავებულ და თავის დროზე გამოსწორებულ იქნეს მუშაობის უფრო სუსტი მხარეები, დააწესოს ხორცის დამზადების საქმის მსვლელობის სადეკადო რაიონობითი ჯუმლები.

11. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ, რამდენად მომზადებულ არიან ოთხფეხი საქონლის დამზადებელი ორგანიზაციები საქონლის დამზადებისა, მიღებისა და მოვლისათვის, და სისტემატიურად თვალყური ადევნონ ამ უაღრესად თვალსაჩინო კამპანიის გაშლას და მსვლელობას, რადგანაც მას აქვს პრეველხარისხოვანი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1930 წ. დეკემბრის 20.

№ 313.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 354 №-ში 1930 წ. დეკემბრის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

8. „ამიერკავკასიის მებამბეობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-6 მუხლის „გ“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ამიერკავკასიის მებამბეობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-6 მუხლის „გ“ ლიტერის შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 № ი, მუხ. 184)—ბამბის თესვის საწარმოო გეგმების სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და კომლამდე მიწედენის საბოლოო ვადად დანიშნულ იქნეს 1931 წლის იანვრის 5-ი, იმ ვარაუდით, რომ არა უგვიანეს იანვრის 15-სა დამთავრდეს როგორც ამ გეგმების კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე განხილვა, ისე მოსესეულთა რეგისტრაცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1930 წ. დეკემბრის 27
№ 314.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 352 №-ში 1930 წ. დეკემბრის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

9. „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების“ შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო ინსტრუქცია „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების“ შეფარდების შესახებ.

2. წინადადება შეეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპულიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა 1-ლ მუხლში აღნიშნულ ინსტრუქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 17-ს თარიღისა და 182 №-ის დადგენილება „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ და თვით ინსტრუქციაც (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 186).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. დეკემბრის 23.

№ 315.

ტფილისი.

ინსტრუქცია

შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივლისის 11-ის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 46 №-ი, მუხ. 402) 22 მუხლის თანახმად და იმავე წესების მე-11 და მე-17 მუხლებისა, აგრეთვე „კულაკურ მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 53 №-ი, მუხ. 551) და „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 10-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 52 №-ი, მუხ. 548) შესაბამისად—აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს შემდეგ ინსტრუქციას ა/კსფსრ ტერიტორიაზე შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების დროებითი წესების შეფარდების შესახებ.

I. დროებითი წესების გავრცელების ფარგალი.

1. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 11-ის დადგენილებით დამტკიცებული „დროებითი წესები შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ“ ვრცელდება ყველა იმ შრომითს საგლეხო მეურნეობაზე (ღარიბსა და საშუალოზე), რომელშიაც საკალდებულოა პირადი შრომა ოჯახის ყველა შრომა-უნარიანი წევრისა, ვინც-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მეურნეობაში ცხოვრობს, და სადაც ვადიანი, მუდმივი, დროებითი და შინაური მუშისა და მუშა-ქალის დაქირავებულ შრომას აქვს მხოლოდ დამხმარე ხასიათი.

შენიშვნა. 1-ლ მუხლში აღნიშნული მოთხოვნა პირადი შრომისა და მუშა-ძალის დამხმარეობის აუცილებლობის შესახებ არა ერცელდება იმ შრომითს საგლეხო მეურნეობაზე, სადაც, განსაკუთრებული პირობების გამო (სამხედრო სამსახურში გაწვევა, ინვალიდობა, საზოგადოებრივი მოვალეობანი და სხვა ამისთ. რამ), ოჯახს არა ჰყავს შრომა-უნარიანი მომუშავე.

2. კულაკურ მეურნეობებში დაქირავებული შრომის გამოყენების პირობები მოწესრიგდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატ-ა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილებით „კულაკური მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 53 №-ი, მუხ. 551); ამასთანავე, ესა თუ ის მეურნეობა კულაკურ მეურნეობათა რიცხს მიეკუთვნება იმ ნიშნების მიხედვით, რაც აღნიშნულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებაში.

II. მოჯამაგირე-კაცთა და მოჯამაგირე-ქალთა დაქირავების წესი.

3. მოჯამაგირე-კაცს და მოჯამაგირე-ქალს დამქირავებელი სამუშაოზე მიიღებს უახლოესი საკორესპონდენტო ან შემგროვებელი პუნქტის მეშვეობით, ხოლო, უკეთუ ასეთი პუნქტი არ არსებობს,—უშუალოდ.

4. მოჯამაგირეთა დაქირავება შეიძლება დღიური სამუშაოსათვის, სასეზონო სამუშაოსათვის ან მუდმივ სამუშაოსათვის.

III. დაქირავების პირობები.

5. მოჯამაგირე-კაცის და მოჯამაგირე-ქალის დაქირავება განისაზღვრება სანებაყოფლო წერილობითი შრომის ხელშეკრულობით დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის; ამასთანავე, წერილობითი შრომის ხელშეკრულების დადება სავალდებულოა.

წერილობითი შრომის ხელშეკრულობა შეუძლიან დასდვას თვით მოჯამაგირე-კაცმა და მოჯამაგირე-ქალმა დამქირავებელთან, ან მოჯამაგირის სახელით შრომის ხელშეკრულობა შეიძლება დასდვას და ხელი მოაწეროს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელმა.

შენიშვნა 1. უკეთუ დაქირავება თითოოჯერობით ხდება—ცალკეული მცირევადიანი სამუშაოს შესასრულებლად—ორკვირაზე ნაკლები ხნით მთელი სასოფლო-სამეურნეო სეზონის განმავლობაში, წერილობითი ხელშეკრულობის დადება სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. დამქირავებელი მოვალეა მისცეს მოჯამაგირე-კაცს და მოჯამაგირე-ქალს ანგარიშგასწორების ფურცელი ა/ასფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მაერ დადგენილი ფორმით.

6. წერილობითს შრომის ხელშეკრულობაში აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) ის ძირითადი სამუშაო, რისთვისაც დაქირავებულია მოჯამაგირე; ბ) დაქირავების

ვადა; გ) სამუშაო დრო; დ) სამუშაო ხელფასის რაოდენობა, სახე და გადახდის ვადა; ე) დამატებითი პირობები, რასაც მხარენი დასდებენ.

შრომის ხელშეკრულებით არ შეიძლება მოჯამაგირის მდგომარეობის გაუარესება შედარებით 1929 წლის ივლისსა 11-ის დროებითის წესებთან „შრომითს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ“ და აგრეთვე შედარებით ამა ინსტრუქციასთან. მდგომარეობის გამაუარესებელი პირობები ბათილია და, ამ პირობების ნაცვლად, იმოქმედებს აღნიშნული დროებითი წესებით და ამა ინსტრუქციით დადგენილი პირობები.

ყოველგვარი შეთანხმება, რაც აუარესებს მოჯამაგირის მდგომარეობას, დროებითს წესებთან და ამა ინსტრუქციასთან შედარებით, კანონიერია.

7. წერილობითი შრომის ხელშეკრულება აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნეს უახლოეს სასოფლო საბჭოში, დაქირავების ადგილის მიხედვით, არა უგვიანეს ორი კვირისა მოჯამაგირის დაქირავების დღიდან; ამასთანავე, ხელშეკრულების სარეგისტრაციოდ წარდგენა შედგენს დამქირავებლის მოვალეობას. რეგისტრაციისათვის არც დამქირავებელს და არც მოჯამაგირეს არავითარი სასყიდელი არ უნდა გადაჰხდეს.

შენიშვნა. წერილობითი შრომის ხელშეკრულება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი წარდგენილია პროფესიონალური კავშირის ქვედა ორგანიზაციის მიერ.

8. სასოფლო საბჭო მოვალეა დარეგისტროს შრომის ხელშეკრულება იმავე დღეს, რა დღესაც იგი სარეგისტრაციოდ არის წარდგენილი, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს მეორე დღისა. რეგისტრაცია მოხდება ხელშეკრულებათა დავთარში ძირითადი პირობების ჩაწერით (ქირავნობის ვადა, სამუშაო დრო და სამუშაო ხელფასის რაოდენობა, სახე და გადახდის ვადა და სხვ.).

შენიშვნა. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მიაწოდოს სასოფლო საბჭოს ხელშეკრულებათა სარეგისტრაციო დავთარი იმ ფორმით, რაც დაწესებულ იქნება აკასფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების შეთანხმებით.

9. წერილობითი შრომის ხელშეკრულება შედგენილ და ხელმოწერილ უნდა იქნეს სამს ცალად; ამასთანავე, ხელშეკრულობის შედგენის ხარჯის გაწევა დამქირავებლის მოვალეობაადა დაქირავებული (მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი) არაეითარ ხარჯს არ ეწევა; სასოფლო საბჭოში ხელშეკრულების რეგისტრაციის შემდეგ დამქირავებელს და დაქირავებულს (მოჯამაგირე-კაცს და მოჯამაგირე-ქალს) მიეცემათ ხელთ რეგისტრირებული ხელშეკრულობის თითო ცალი, ხოლო მესამე ცალი დაიტოვება სასოფლო საბჭოში.

შენიშვნა. უკეთუ წერილობითს შრომის ხელშეკრულებას დაქირავებულის სახელით დასდებს პროფესიონალური ორგანიზაცია, ხელშეკრულობის ოთხს ცალად შედგენის მოვალეობა დაეკისრება პროფესიონალურ ორგანიზაციას და რეგისტრირებული ხელშეკრულობის მეოთხე ცალი მიეცემა მას.

10. შრომის ხელშეკრულობაში წერის არმცოდნე მოჯამაგირის თუ დამქირავებლის მაგიერ სხვისი ხელმონაწერი ან მათი პირობითი ნიშნები დამოწმებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ. სასოფლო საბჭო აღნიშნული ხელმონაწერის თუ ნიშნების დამოწმებისათვის არავითარ სასყიდელს არ ახდევინებს.

11. უკეთუ მხარეებმა ან ერთ-ერთმა მხარემ წერა-კითხვა არ იციან, შრომის ხელშეკრულობა, რეგისტრაციის შემდეგ, წაკითხულ უნდა იქნეს ხმამაღლ სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის მიერ.

12. წერილობითი შეთანხმება მოჯამაგირის დაქირავების თაობაზე ძალა-მოსილია მისი მოწერისთანავე მხარეთა მიერ.

13. უკეთუ წერილობითი შრომის ხელშეკრულობა შეიცავს მოჯამაგირის მდგომარეობის გამაუარესებელ პირობებს, დროებითს წესებთან და ამა ინსტრუქციასთან შედარებით, ან მიმართულია მოჯამაგირის პოლიტიკურ თუ საერთო-მოქალაქობრივ უფლებათა შეზღუდვისთვის,—სასოფლო საბჭო მოვალეა წინადადება მისცეს დამქირავებელს და მოჯამაგირეს შეიტანონ განსაზღვრულ ვადაზე ხელშეკრულობაში კანონის შესაბამისი ცვლილებანი. ამ ცვლილებათა მოქმედება ითვლება მოჯამაგირის დაქირავების დღიდან. უკეთუ ცვლილება შეტანილ არ იქნა საამისოდ განსაზღვრულ ვადაზე, სასოფლო საბჭო მოვალეა უარი სთქვას ხელშეკრულობის რეგისტრაციაზე და აცნობოს ეს შრომის ინსპექტორს დამქირავებლის პასუხისგებაში მისაცემად.

14. წერილობითი შრომის ხელშეკრულობა დაქირავების შესახებ შეიძლება დადებულ იქნეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. არ შეიძლება ისეთი შრომითი ქირავნობის ხელშეკრულობის დადება, რომლის აღსრულებაც დაწყებულ უნდა იქნეს ერთი წლის ან მეტი ხნის შემდეგ დღიდან ხელშეკრულობის დადებისა.

15. არასრულწლოვანთა დაქირავების წესი და მათი უფლებანი დამქირავებლის მიმართ იგივეა, რაც სრულწლოვანთა მოჯამაგირეებისა.

IV. სამუშაო დრო და დასვენება.

16. დაქირავებულის (მოჯამაგირე-კაცის თუ მოჯამაგირე-ქალის) სამუშაო დღის ხანგრძლიობა აღნიშნული უნდა იყოს წერილობითს შრომის ხელშეკრულობაში როგორც მხარეთა შეთანხმების შედეგი; გადიდებული სამუშაო დღე, ე. ი. რვა საათიანზე დიდი სამუშაო დღე, ხოლო არა უმეტეს ათი საათისა დღედღამეში, შეიძლება მარტოოდენ ამა თუ იმ სასოფლო სამეურნეო პერიოდში (სამუშაოს ხასიათისა და დაბაბულობის მიხედვით). 14-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდთათვის გადიდებული სამუშაო დღე არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს საათს, ხოლო 16-დან 18 წლამდე—8 საათს.

შენიშვნა. სამუშაო დღის ხანგრძლიობა წელიწადის ამა თუ პერიოდში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს წერილობითს შრომის ხელშეკრულობაში თვითეული პერიოდისათვის ცალკე; ამასთანავე, გადიდებული სამუშაო დღის შეფარდება პროფესიონალური კავშირის ორგანომ აუცილებლად უნდა აღნიშნოს შრომითს ხელშეკრულობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. მხარეთა შეთანხმებით, გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება ღამითაც მუშაობა, როდესაც გახურებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოა (თიბვა, მორწყვა და სხვ.).

18. დამქირავებელი მოვალეა მისცეს მოჯამაგირეს კვირაში ერთი დღე დასასვენებლად (ექვსი დღის შემდეგ—მეშვიდე დღეს).

19. მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან შემდეგ რევოლიუციონურ დღეებისა და უქმეებში: ა) იანვრის 1-ლს—ახალი წელი; ბ) იანვრის 22-ს—იანვრის 9-ის დღე; გ) მარტის 12-ს—თვითმპყრობელობის დამხობის დღე; დ) მარტის 18-ს—პარიზის კომუნის დღე; ე) მაისის 1-ლსა და 2-ს ინტერნაციონალის დღეები; ვ) სექტემბრის 20-ს—26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტის დღე; ზ) ნოემბრის 7-სა და 8-ს—პროლეტარული რევოლიუციის დღეები. ზემოაღნიშნული რევოლიუციონური დღეებისა და უქმეების გარდა, მოჯამაგირე განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან რესპუბლიკის გასაბჭოების დღეს: აზერბაიჯანში—აპრილის 28-ს, სომხეთში—ნოემბრის 29-ს და საქართველოში—თებერვლის 25-ს.

20. ზემოდ ჩამოთვლილი 10 რევოლიუციონური და უქმე-დღის გარდა, მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან აგრეთვე წლის განმავლობაში 4 განსაკუთრებულ დასვენების დღეს (ადგილობრივი სახალხო უქმე), რომელებსაც დაიწესებს და გამოაქვეყნებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

21. უკეთუ საპირო იქნება საპირნახულე პერიოდში დამქირავებლისათვისაც და მოჯამაგირისათვისაც მუშაობა რომელსაც დასვენების დღეს (ყოველ-კვირეულსა თუ განსაკუთრებულ დღეს), ასეთი დღის გამოუყენებლობა აინაზღაურება მოჯამაგირეს ან სხვა დასვენების დღით, ან ფულადი სასყიდლით დამქირავებლისა და დაქირავებულის შეთანხმებისამებრ. მუშაობაში გატარებული დასვენების დღეები ანაზღაურებულ უნდა იქნეს ა) სხვა გამოსასვლელი დღით შემდგომი კვირისა თუ შემდგომი თვის განმავლობაში, უკეთუ მუშაობაში ზედიზედ რამდენიმე დასვენების დღეა გატარებული, ან ბ) ფულადი სასყიდლით დამქირავებლის მოჯამაგირესთან და პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით; ამასთანავე, ჩვეულებრივი სამუშაო დღის ხელფასის ზედნართი დასვენების დღეს მუშაობისათვის ნაკლები არ უნდა იყოს სამუშაო დღის ყველა სახის ჩვეულებრივი ხელფასის 25%-ზე.

22. მუდმივ და სასეზონო მუშებს უქმი დღეებისათვის სამუშაო ხელფასიდან არა დაეჭირებათ-რა და ულუფაც ამ დღეებში მათ ეძლევათ საერთო წესისამებრ, როგორც სამუშაო დღეს.

23. ყოველ არასამუშაო დღეს, აგრეთვე სამუშაო დღესაც, ხოლო მუშაობისაგან თავისუფალ დროს, მოჯამაგირე-კაცს და მოჯამაგირე-ქალს უფლება აქვს დასტოვოს სამუშაო ადგილი და არასამუშაო დრო თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. შრომის გასამრჯელო.

24. მოჯამაგირე-კაცისა თუ მოჯამაგირე-ქალის შრომის გასამრჯელო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო „იგი არ შეიძლება ნაკლები იყოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამა თუ იმ ადგილისათვის განსაზღვრულ სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ მინიმუმზე.

შენიშვნა. სამუშაო ხელფასის მინიმუმის განსაზღვრის დროს სათვალავში მიიღება სამუშაო ხელფასის ნატურალური ნაწილი და ულუფა.

25. სამუშაო ხელფასის სახე, გადახდის წესი (პერიოდული, ნაპრობითი, ფულადი თუ ნატურად) და ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამასთანავე, სამუშაო ხელფასის ის ნაწილი, რაც გაიცემა არა ფულად, არამედ ნატურად (ულუფის ღირებულობის ჩათვლით), არ უნდა იყოს მთელი სამუშაო ხელფასის ნახევარზე მეტი. საცხოვრებელი სამყოფელის ღირებულობა სამუშაო ხელფასში არ შეიტანება.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააწესონ სხვაგვარი შეფარდება სამუშაო ხელფასის ნატურალურ და ფულად ნაწილებს შორის.

26. უკეთუ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის აღიძვრის დავა სამუშაო ხელფასის რაოდენობის თაობაზე და წერილობითი შრომის ხელშეკრულობა არ არსებობს ან ამ ხელშეკრულობაში ზედმიწევნით არ არის აღნიშნული სამუშაო ხელფასის რაოდენობა, ამ რაოდენობას განსაზღვრავს მომრიგებელი კომისია; ხოლო, უკეთუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხი სახალხო სასამართლოში გადაიტანება.

შენიშვნა. დამქირავებელს უფლება არა აქვს თავისი ნებით დაუჭიროს რამ მოჯამაგირეს სამუშაო ხელფასიდან. უკეთუ მოჯამაგირე მიაყენებს დამქირავებელს სიბოროტით (განზრახ) ზიანს დამქირავებლის ქონების გაფუქებით ან დაკარგვით, დამქირავებელს შეუძლიან მოსთხოვოს მოჯამაგირეს სახალხო თუ სასოფლო სასამართლოს მეშვეობით, კუთვნილებისამებრ, ზარალის ანაზღაურება.

27. დამქირავებელს არ შეუძლიან თავისი ნებით რაიმე ფულადი გადასახდელი დაადვას მოჯამაგირე-კაცს თუ მოჯამაგირე-ქალს.

VI. დამქირავებლისა და მოჯამაგირის მოვალეობანი.

28. დამქირავებელი მოვალეა შეასრულოს შეთანხმების ყველა პირობა, გადაიხადოს შეპირებულ ვადაზე სამუშაო ხელფასი, მისცეს მოჯამაგირე-კაცს თუ მოჯამაგირე-ქალს ხელშეკრულობით განსაზღვრული ტანსაცმელი, მიუჩინოს მას საცხოვრებლად ვარგისი სადგომი და აძლიოს ისეთივე თვისების საჭმელი, როგორიც დამქირავებლის ოჯახში იხმარება.

29. მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი მოვალეა შეასრულოს შეთანხმებით შეპირობებული სამუშაო, გფერთხილებით მოექცეს ოთხფეს საქონელსა და ინვენტარს და არ მიაყენოს დამქირავებლის ქონებას ზიანი. იარაღისა და სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშაო ძალის გაფუტებამ მოჯამაგირის დაუდეგრობით შეიძლება გამოიწვიოს, სათანადო სახალხო თუ სასოფლო სასამართლოს დადგენილებით, მოჯამაგირის სამუშაო ხელფასიდან საზღაურის გამოკლება.

30. დამქირავებლისაგან წასვლისას მოჯამაგირე მოვალეა ჩაბაროს მისთვის მინდობილი ქონება დამქირავებელს.

VII. მოზარდთა და ქალთა შრომა.

31. საგლეხო მეურნეობა'ში სამუშაოდ დაქირავება შეიძლება თოთხმეტ წლისაზე არა უმცროსი მოზარდისა. განსაკუთრებით მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად შეიძლება მიღებულ იქნენ თორმეტ წლისაზე არა უმცროსი მოზარდნი.

32. აკრძალულია მოზარდთა და ორსულ დედაკაცთა შრომის გამოყენება მათი ძალღონისათვის აუტანელ და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოზე.

33. თოთხმეტ წლისაზე უმცროსი მოზარდი ან ორსული და მაწოვარი დედაკაცი არ მიიღება ღამღამობით წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე.

34. თოთხმეტ წლისაზე უმცროსი მოზარდი არ მიიღება დამოუკიდებელ, რთულ სასოფლო-სამეურნეო-მანქანიან სამუშაოზე (სამკელი, ძნისმკვრელი, სალეწავი და სხვა ამისთ. რამ.).

შენიშვნა. ძალღონისათვის აუტანელ და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოთა ნუსხას, აგრეთვე განსაკუთრებით მსუბუქ სამუშაოთა ნუსხას დაადგენს ა/ესფსრ შრომის სახალხო კომისარიატი.

35. დამქირავებელი მოვალეა ასწავლოს მეცრეწლოვანს ოთეეხი საქონლის მოვლა, სასოფლო სამეურნეო იარაღის მოხმარება, მეურნეობის გაძღოლა და სხვა ამისთ. რამ.

VIII. მოჯამაგირე კაცისა და მოჯამაგირე-ქალის დათხოვნა და წასვლა.

36. დამქირავებელს შეუძლიან პატივსადები მიზეზით დათხოვოს მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი ხელშეკრულობის ვადის გასვლამდე, რაც აუცილებლად წინასწარ, ორი კვირით ადრე, უნდა გამოუცხადოს მას.

უკეთუ დამქირავებელი წინასწარ გამოუცხადებლივ დაითხოვს მოჯამაგირეს, მან უნდა გადაუხადოს მას წინდაწინ ორი კვირის სამუშაო ხელფასი (გამოსასვლელი დახმარება). გამოსასვლელი დახმარების რაოდენობა გამოთანგარიშება სამუშაო ხელფასის საერთო თანხის მიხედვით (ფულადისა და ნატურალურისა).

შენიშვნა 1. უკეთუ მოჯამაგირე ნებაყოფლობით წავა ხელშეკრულობის ვადის გასვლამდე, იგი მოვალეა ეს წინასწარ განუცხადოს დამქირავებელს ერთი კვირით ადრე წასვლამდე.

შენიშვნა 2. მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი თავის საზოგადოებრივ მოვალეობას შეასრულებს, როგორც საერთო წესი, არასამუშაო დროს; ხოლო დამქირავებელმა უნდა გაანთავისუფლოს მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი მუშაობისაგან, სამუშაო ხელფასის შენაჩრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით, იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა საბჭოების არჩევნებში და სასოფლო ყრილობებში, აგრეთვე სახალხო ან სასოფლო სასამართლოს სხდომებში სახალხო მსაჯულის სახით მონაწილეობის მიღებისათვის.

მოჯამაგირე განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან, სამუშაო ხელფასის შეუნარჩუნებლად, იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა პოლიტიკური, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობებში და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებისათვის.

შენიშვნა 3. უკეთუ მოჯამაგირე-კაცი თუ მოჯამაგირე-ქალი იძულებულია წავიდეს დამქირავებლისაგან მისი ან მისი ოჯახის წევრების უხეში მოპყრობის გამო, აგრეთვე დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების გადამდები ავადმყოფობის გამო,—მოჯამაგირეს მიეცემა გამოსასვლელა დახმარება ორი კვირის სამუშაო ხელფასის რაოდენობით.

37. უკეთუ დამქირავებელი ვადის გასვლამდე მოშლის შრომის ხელშეკრულობას და მოჯამაგირე თანახმა არ არის ხელშეკრულობის მოშლის მიზეზისა, კონფლიქტს გადასწყვეტს მომრიგებელი კომისია, ხოლო, უკეთუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული,—სახალხო სასამართლო.

38. დამქირავებელს არ შეუძლიან მოჯამაგირის წასვლის დროს დაიჭიროს მისი დოკუმენტები (ვინაობის მოწმობა და სხვ.), აგრეთვე მოჯამაგირის კუთვნილი ნივთები (ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ლოგინი და სხვ.).

39. მოჯამაგირე-კაცის თუ მოჯამაგირე-ქალის სოციალური წესით დაზღვევას დამქირავებელი განახორციელებს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 3-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 52 №-ი, მუხ. 546).

IX. პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის.

40. ამა ინსტრუქციის წესების დარღვევისათვის დამქირავებელი პასუხს აგებს სასამართლო წესით ან ადმინისტრატიული წესით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში გადასახდელს დაადებენ შრომის ორგანოები, უკეთუ სათანადო შემთხვევა გათვალისწინებულია ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებით.

41. ადმინისტრატიული წესით დასადები გადასახდელი არ შეიძლება აღემატებოდეს ოცდახუთ მანეთს.

სასამართლო წესით გადასახდელად შეიძლება დადებულ იქნეს იძულებითი მუშაობა ვადით ორი კვირამდე ან ჯარიმა არა უმეტეს ოცდახუთი მანეთისა.

42. ზედამხედველობა ამა ინსტრუქციის აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის ინსპექციას.

43. შრომის ინსპექტორს უფლება აქვს აღძრას საკითხი ისეთი შრომის ხელშეკრულობის შეცვლის ან მოშლის შესახებ, რაც მოჯამაგირე-კაცის თუ მოჯამაგირე-ქალის მდგომარეობას აუარესებს ამა ინსტრუქციასთან შედარებით.

44. ინსტრუქცია ესე გამოკიდულ უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილას ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართასაბ ჭოსი.

10. სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების მიერ მშენებლობის აღნუსხვის შესახებ.

რათა სამშენებლო კონტროლის ადგილობრივმა ორგანოებმა აწარმოონ მშენებლობის აღნუსხვა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკალოს სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ (ახალი შენობები, დაშენება, მიშენება, კაპიტალური რემონტი) ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საკაციო საზოგადოებას და კერძო პირს—მიიღოს ყოველგვარი შენობისა და ნაგებობის თაობაზე, მუშაობის დაწყებამდე, სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოებისაგან ნებართვა სამშენებლო ოპერაციების წარმოებისათვის და წარადგინოს სამშენებლო კონტროლის ამ ორგანოებში „შეტყობინება“:

ა) „მუშაობის დაწყების თაობაზე“—არა უგვიანეს 3 დღისა ფაქტიურად მუშაობის დაწყებიდან;

ბ) „მუშაობის დამთავრების თაობაზე“—არა უგვიანეს 7 დღის ვადისა შენობის დამთავრებიდან;

გ) არა უგვიანეს 2 თვისა შენობის დამთავრებიდან—„დამთავრებულ სამშენებლო სამუშაოს სტატისტიკური ბარათი“;

დ) საანგარიშო საკალენდრო წელს დაუმთავრებელ მშენებლობაზე—არა უგვიანეს იანვრის 15-სა—„შეტყობინება სამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ იანვრის 1-თვის.“

შენიშვნა 1. კერძო პირთა მშენებლობის მიმართ აღნიშნული წესი ნებართვის მიღებისა და ცნობების წარდგენისა ვრცელდება მხოლოდ იმ შენობებზე, რაც ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ფარგლებში შენდება.

შენიშვნა 2. არ აღინუსხება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამომგერებლო ნაგებობათა მშენებლობა.

2. სამშენებლო კონტროლის ორგანოების ქსელის გაფართოებამდე—სამშენებლო მუშაობის წარმოებისათვის ნებართვის გაცემა და მეაღნაგეთაგან 1-ლ მუხლში აღნიშნული ცნობების მიღება დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილებს, რომლებმაც ამ სამუშაოსათვის, საჭირო შემთხვევაში, უნდა გამოიყენონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებათა ტეხნიკური პერსონალი.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში შეუვალ ქალაქებში, სადაც სამშენებლო კონტროლის ორგანოები არ არსებობენ, მშენებლობის წარმოებისათვის ნებართვის გაცემა და ცნობების მიღება დაეკისროს კომუნალური მეურნეობის განყოფილებათ.

3. მე-2 მუხლის წესისამებრ მისაღები მშენებლობის ააღნუსხვო მასალების დამუშავება დაეკისროს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რომელმაც საამისოდ უნდა განსაზღვროს ადგილებზე მასალების შეკრეფის ვადები და წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ ეკონომიურ თათბირებს—გამოსცენ, ამა დადგენილების განსავითარებლად, სათანადო დადგენილებანი, რომლებშიაც:

ა) დაკისრონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, კუთვნილებისამებრ, პასუხისმგებლობა მწენებლობის აღნუსხვის სისწორით და თავის დროზე წარმოებისათვის;

ბ) დაიწესონ პასუხისმგებლობის ღონისძიება იმ დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და პირებისათვის, რომლებიც სამშენებლო ოპერაციებს დადგენილი ნებართვის გარეშე აწარმოებენ;

გ) წინადადება მისცენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—აუწყონ, გამოქვეყნების საშულებით, მეადგილეთა ფართო წრეს მშენებლობის წარმოებისათვის ნებართვის მიღებისა და სამშენებლო სამუშაოთა თაობაზე შეტყობინებათა წარდგენის წესი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ა. ბანოვიჩი.

1930 წ. დეკემბრის 23.
№ 316.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

11. დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

დაწინაურებულთა კვალიფიკაციის წარმატებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეფალოს ა/კსფსრ-ის იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელთაც თავიანთ აპარატში ჰყავთ დაწინაურებულნი, მოაწყონ, მათი კვალიფიკაციის წარმატებისათვის მუშაობის ამა თუ იმ დარგში, კურსები სწავლების ვადით 3 დან 9 თვემდე.

წინადადება მიეცეს ამ დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრაციას, საკირო შემთხვევაში, დაწინაურებულთა ამა თუ იმ ჯგუფის საერთო განვითარების მიხედვით, შემაცირონ ხოლმე ამ დაწინაურებულთა ოპერატიული მუშაობა აპარატში და, ამისდაშესაბამისად, გაუდიდონ მათ კურსებზე სწავლის საათების რიცხვი.

2. რათა დაწინაურებულნი რაც შეიძლება ჩქარა და უშუალოდ გაეცნონ აპარატის მუშაობას, წინადადება მიეცეს დაწესებულებათ და საწარმოთ:

ა) შემოიღონ სისტემად დაწინაურებულთა მიწვევა კოლეგიებისა, გამგეობებისა და პრეზიდიუმების სხდომებზე;

ბ) პრაქტიკაში შემოიღონ დაწინაურებულთა გაგზავნა ადგილებზე სამრეწველო და სამეურნეო მშენებლობათა რევიზიებში, გამოკვლევებში და სხვ. მონაწილეობის მისაღებად.

3. დაეკალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს—უზრუნველჰყონ ნამდვილი მონაწილეობა ამა თუ იმ აპარატში მომუშავე ყველა დაწინაურებულსა აპარატის ისეთ მუშაობაში, როგორიც არის საკონტროლო ციფრებისა, სპერსპექტივო და ოპერატიული გეგმებისა და სხვა ამგვარი რამის შედგენა.

4. დაწინაურებულთა და მათ დამწინაურებელ საწარმოთა შორის ცოცხალი სორგანიზაციო კავშირის დასამყარებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა პერიოდულად ამ საწარმოთა მუშების კრებებს წარუდგინონ ხოლმე საანგარიშო მოხსენებები როგორც თვით დაწინაურებულებმა, ისე სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ უნდა უზრუნველჰყოს ასეთი საანგარიშო მოხსენებების მოწყობა, რისთვისაც საქართნო კომიტეტებში და ადგილობრივ კომიტეტებში უნდა გამოჰყოს ავტორიტეტის მქონე საზოგადო მომუშავეთა რიცხვიდან სპეციალური ორგანიზატორები, რომელნიც განაგებენ მარტოოდენ დაწინაურებლობის საკითხებს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს დაწინაურებულთა მუშაობის სფეროში მიღებული გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა პერიოდული თათბირების მოწვევით, რომლებშიაც მონაწილეობას

იიღებენ დაწინაურებულნი და სათანადო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელნი;

ბ) სისტემატიური ინსტრუქტირება გაუწიოს დაწინაურებულთ და ჩაბაბას ისინი მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის კონტროლის მოწყობისა და განხორციელების მუშაობაში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება რესპუბლიკანურ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატში დაწინაურებულების მუშაობის თაობაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. დეკემბრის 23.

№ 317.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-8 №-ში 1931 წ. იანვრის 8-ს.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართვ. სტამბა
მთავლიტი № 383. ტირაჟი 1.400